სერგო რატიანი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას ბიბლიოთეკა
ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის კვლევის ახალი პერსპექტივა

> მამულიშვილს (гражданин), – ამბობს ერთი მწერალი, – საქმე არა აქვს მასთან, რომ თავად-აზნაურობა ჰზის თავის ოთახში და შეჰხარის თავის მამა-პაპებს და თავის მამულ დედულსაო. ხოლო როცა თავადი ან აზნაური მოიწადინებსო, რომ ჩემს მამულ-დედულს და ჩემს მამა-პაპას უპირატესი, განსაკუთრებითი მნიშვნელობა მიეციო საზოგადოებაშიო, მაშინ მამულისშვილი უნდა გულზედ მოვიდეს და უთხრას იმ თავადაზნაურსა: შენ ფეოდალი ხარო.[1]

ილიას წერილებიდან ბევრი მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ, სადაც მას ამა თუ იმ მოაზროვნის ციტატა მოჰყავს, მაგრამ სახელს არ უთითებს. წერილ „ცხოვრება და კანონიდან“ მოყვანილი მაგალითი გამონაკლისი არ არის. სხვაგან ამ არაფრისმთქმელ მინიშნებასაც („ამბობს ერთი მწერალი“) ვერ ვხედავთ. მაგალითად, წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“ ასწლეულის შეფასებისას ილია ეყრდნობა იმ მოაზროვნის მოსაზრებას, რომლის სახელიც მკითხველისთვის უცნობი რჩება.

> ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოვლის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად.[2]

---

1 ილია ჭავჭავაძე, *თხზულებათა ათტომეული,* ტომი 6 (თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1956), 55.

2 ილია ჭავჭავაძე, „მეცხრამეტე საუკუნე. 31 დეკემბერი, 1899“, კრებულში: ჭავჭავაძე, 37.

არის სხვა სახის პრობლემაც. ნოე ჟორდანიასთან საპოლემიკო წერილებში ბევრგან ვპოულობთ ილიას მხრიდან მსგავსი შინაარსის შეფასებებს.

> ეს ანაბანი პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებისა რომ ვერ გაუგია და ვერ უსწავლია, მოდით და ახლა დაუჯერეთ, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია გაგებული და შიგჩახედული მარქსისტია.[3]

> აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსიზმისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა თქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას ნუ დამწამებთო. ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა.[4]

მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმის გასააზრებლად, რამდენად რთულ პრობლემას აწყდება ილიას მკვლევარი. ხშირ შემთხვევაში უცნობი რჩებოდა, თუ რა ლიტერატურას ეყრდნობოდა ქართველი მწერალი. გარდა ამისა, თავისთავად საინტერესოა ფაქტია, რომ ილია ჟორდანიასთან პოლემიკის დროს თავის ოპონენტს საკუთარი, ანუ ლიბერალური მსოფლმხედველობის, პოზიციიდან არ აკრიტიკებს. ის ნოე ჟორდანიას მისივე იდეოლოგიის საფუძვლების უცოდინრობაში სდებს ბრალს.

ამ ფონზე, ჩვენი ინტერესის საგანი არ გამხდარა იმის გარკვევა, თუ რამდენად ზუსტად აფასებდა ილია ნოე ჟორდანიას მიერ მარქსის სწავლების ცოდნას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო იყო არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი – ილია თავად აცხადებს პრეტენზიას მარქსიზმის საფუძვლების გარკვეულ ცოდნაზე. შესაბამისად, პირველი, უნდა გამოგვეკვლია, რამდენად ღრმად იცნობდა ილია მარქსის სწავლებას და იმ პრობლემატიკას, რომელიც სოციალისტური იდეოლოგიის მარქსისეულ ხედვასთან იყო დაკავშირებული. რომელ ავტორებსა და რა ლიტერატურას ეყრდნობოდა საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბების დროს.

ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან საქართველოს ისტორიის მსვლელობა ორმა დიდმა იდეოლოგიამ, ნაციონალიზმმა და სოციალიზმმა (უფრო ზუსტად, მარქსიზმმა) განსაზღვრა. მათი დაპირისპირება მე-19 საუკუნის მიწურულს იღებს სათავეს, განსაზღვრავს პრაქტიკულად მთელ მე-20 საუკუნეს და აქტუალობას არც დღეს კარგავს. ამ რეალობამ დაჩრდილა მოდერნულობის კიდევ ერთი ტრადიცია – ლიბერალიზმი. მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ დაპირისპირების

3 ილია ჭავჭავაძე, „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან", კრებულში: ჭავჭავაძე, 108.

4 იქვე, 116.

ისტორია არ იყო მარტივი და ერთმნიშვნელოვანი – ხშირი იყო ურთიერთგავლენა და განსხვავებული თემების დაწყვილება.

ამ დაპირისპირების სათავეებთან საქართველოს ისტორიის ორი უმნიშვნელოვანესი ფიგურა იდგა – თანამედროვე საქართველოს ეროვნული იდეის დამფუძნებელი ილია ჭავჭავაძე და პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. მსგავსი კამათები, არგუმენტები მნიშვნელოვანი მემკვიდრეობაა, ისტორიის გაკვეთილია კულტურისა და პოლიტიკისთვის. განსაკუთრებით საინტერესოა არა მხოლოდ უშუალოდ კამათი ჩვენთვის საინტერესო პიროვნებებს შორის, არამედ ის კულტურული სივრცე, ის კონტექსტი, რასაც იგი ეფუძნებოდა.

მიუხედავად ამისა, ამ დაპირისპირების არც ფილოსოფიური, არც სოციალურ-პოლიტიკური და არც ეკონომიკური საფუძვლები, გარკვეული შრომების არსებობის მიუხედავად,[5] საკმარისად გამოკვლეული არ ყოფილა. ასევე, არ ყოფილა გაანალიზებული, რა მნიშვნელობა და ადგილი ენიჭებოდა ამ პროცესებში საქართველოში ლიბერალიზმის იმჟამად არსებულ ტრადიციას.

ნაციონალიზმის დისკურსის, ისევე როგორც ლიბერალიზმის ტრადიციის, დამფუძნებლად საქართველოში ილია ჭავჭავაძე მიიჩნევა. ასევე, ილია იყო ის, ვინც ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა სოციალიზმსა და სოციალისტებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, გაგვეანალიზებინა მისი მიმართება მარქსისტულ სწავლებასთან. ამასთან, უნდა დაგვედგინა, თუ რამდენად ღრმა და მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა ილიას სოციალიზმისა თუ მარქსიზმის შესახებ. ჩვენი კვლევის მიზანი იყო, უპირველეს ყოვლისა განგვესაზღვრა, შემდეგ კი გაგვეანალიზებინა ის ლიტერატურა, რასაც ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებთან, კერძოდ, ნოე ჟორდანიასთან კამათისას ეყრდნობოდა. ჩვენი ეს კვლევა იყო იდეათა გენეზისის, იდეათა წარმოშობის ისტორიის რეკონსტრუქციის ცდა. ლიტერატურის მოძიებითა და დამუშავებით მოაზროვნე ხომ გარკვეულ ინტელექტუალურ ველს, სააზროვნო გარემოს ქმნის, რომელსაც არა მხოლოდ თვითონ, არამედ კულტურა შეიძლება ითვალისწინებდეს და ეყრდნობოდეს. მარქსისტებთან კამათისთვის ილიას, ბუნებრივია, მარქსისტებისა და მარქსიზმის კრიტიკოსების ნაშრომები უნდა მოეძიებინა და დაემუშავებინა. ამ მიმართულებით საფუძვლიანი კვლევა არ ჩატარებულა და ეს გარემო ჩვენი ისტორიის, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური მსვლელობის გამო გარკ-

5 ამ მხრივ უნდა აღინიშნოს უაღრესად საინტერესო კვლევა, რომელმაც არსებული ვაკუუმი გარკვეულწილად შეავსო. ეს არის სტივენ ფ. ჯონსის „სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-19170“ (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007).

ვეულწილად დაფარული დარჩა. კაცმა რომ თქვას, საბჭოთა კავშირში ილიას მხრიდან მარქსიზმის კრიტიკოსების კვლევის რამდენადმე მნიშვნელოვანი, ობიექტური ანალიზი თეორიულადაც კი შეუძლებელი იყო. საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორთოდოქსი მარქსისტების, ანუ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა იყო შესაძლებელი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ჩვენი თაობის უდიდესი ნაწილისთვის უკვე მობეზრებული მარქსისტული ფილოსოფიის ხელახალი კვლევა საკმაოდ მძიმე ტვირთი აღმოჩნდა.

ჩვენი კვლევისთვის დასაყრდენი გახდა ილიას კონსპექტები, რომელიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ინსტიტუტში და ილიას ბიბლიოთეკა, რომელიც დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ილიას მიერ დამუშავებული მასალის კონსპექტები და ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის ათტომეულის 1956 წლის გამოცემის მეექვსე ტომში ნოე ჟორდანიასთან საპოლემიკო წერილებია გამოქვეყნებული. სარედაქციო შენიშვნებში ვპოულობთ პავლე ინგოროყვას ჩანაწერს: „ნოე ჟორდანიასთან საპოლემიკო წერილების გამო საჭიროა აღვნიშნოთ, აგრეთვე, რომ როგორც ირკვევა მოღწეული მასალებიდან, ილიას, დასახელებული საპოლემიკო წერილების წერის დროს, წინასწარ დაუმუშავებია და გამოუყენებია დიდი სამეცნიერო მასალა."[6] აქვე ვნახულობთ, რომ პავლე ინგოროყვას ეს მასალები მოუძიებია. ის აღნიშნავს:

> ილიას არქივში (რომლის ნაწილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში), მოიპოვება ორი ხელნაწერი რვეული R/94 და R/97, რომელიც შეიცავს ამონაწერებს (შენიშვნებით) მთელი რიგი წიგნებიდან და წერილებიდან, რომლებიც ილიას დაუმუშავებია 1899 წლის დასასრულსა და 1900 წლის დასაწყისში ე. ი. ნოე ჟორდანიასთან პოლემიკის დაწყების წინა ხანებში.[7]

სარედაქციო შენიშვნებშივეა ილიას რვეულებში დამუშავებული ლიტერატურის ჩამონათვალიც:

> „ილიას ამ რვეულებში R/94 და R/97 ჩვენ გვაქვს ილიას ვრცელი ამონაწერები (შენიშვნები) შემდეგი სამეცნიერო ლიტერატურიდან, რომლებიც ილიას დაუმუშავებია:

6 ჭავჭავაძე, *თხზულებათა ათტომეული,* 301.

7 იქვე, 302.

1. ამონაწერები საერთო სათაურით: მარქსი-ენგელსი. სულ 11 ამონაწერია, მათ შორის ციტატები კარლ მარქსის კაპიტალის 1-ლი, მე-2, მე-3 ტომებიდან, შრომებიდან „პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის", თეზისები ფოიერბახის შესახებ. გამოყენებულია წერილი, დაბეჭდილი Русское Богатство-ს 1899 წლის N9 (12)-ში По поводу книги об экономическом материализме (ედ. ბერნშტაინის წიგნის შესახებ);
2. ამონაწერები ბელტოვის (პლეხანოვის) ცნობილი წიგნიდან: „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის" (К вопросу о развитии монистическом взгляда на историю). ერთგან ილია აღნიშნავს ბელტოვის (პლეხანოვის) ფორმულის არასიზუსტეს; ილია წერს: „Экономия и психология общества, по мнению Белтова (ст. 175), представляют две сторон одново и тово же явления. В этом Белтов расходится с Марксом, который полагает, что „экономия есть реальная основа на которой возвышается идеологическая надстройка";
3. ამონაწერები სოციოლოგების კონგრესის შესახებ პარიზში 1895 წელს (გამოსვლები ლა-გრასერისა და პროფესორ მონენისა);
4. ამონაწერი გერმანელი მეცნიერის შტამლერის წიგნიდან: „მეურნეობა და სამართლის ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით";
5. ამონაწერი გერმანელი მეცნიერის გუსტავ შმოლერის წიგნიდან „ზოგიერთი ძირითადი საკითხები სოციალური პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის შესახებ მოძღვრებისა";
6. ამონაწერი მარმერის წიგნიდან: „მეცნიერების პროგრესი";
7. ამონაწერი ობოლენსკის სტატიიდან (Новое Слово, 1896 წ. N5, 6);
8. ამონაწერი ჟურნალიდან Русское Богатство 1896 წ., N12;
9. ამონაწერი კარლ ბიუხერის წიგნიდან: „სახალხო მეურნეობის წარმოშობა";

10. ამონაწერი კარლ ბიუხერის წიგნიდან: „ოთხი ნარკვევი სახალხო მეურნეობის დარგიდან“;
11. ამონაწერი გუსტავ შმოლერის წიგნიდან „სახალხო მეურნეობის მეცნიერება, მისი საგანი და მეთოდი“;
12. ედ. ბერნშტაინის წიგნზე: Die Voraussetzungen des Socialismus und die Aufgaben der Socialdemocratie (Stuttgart, 1899) სტატია ამ წიგნის შესახებ ჟურნალში Вестник Европы, 1899 წ. N9 (12);
13. ამონაწერი ლესტერ უორდის წიგნიდან: „ცივილიზაციის ფსიქოლოგიური ფაქტორები“;
14. ამონაწერი ვ.ზომბარტის წიგნიდან: „სოციალური პოლიტიკის იდეალები“;
15. ვ. ზომბარტის საჯარო ლექციაზე: „სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნეში“ (ანგარიში დაიბეჭდა Новое Слово, 1897 წ. მე-9, მე-11);
16. ამონაწერები ტარდის წიგნიდან: La logique sociale des sentiments. წერილი ჟურნალში Русская Мысль 1894 წ., მარტი;
17. ამონაწერი ვიქტორ ჩერნოვის სტატიიდან: „ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მონიზმის ტიპები“ (დაიბეჭდა ჟურნალში Русское Богатство 1899 წ., N1);
18. ჟორესის ლექცია: „იდეალიზმზე და მატერიალიზმზე ისტორიაში“ (გამოყენებულია ს.ან-სკის ანგარიში Новое Слово, 1896 წ. N4);

მოხსენება: „ორი მხარე ეკონომიკურ მოვლენათა განვითარების პროცესში“ (წაკითხული სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულ საისტორიო საზოგადოების სხდომაზე. ანგარიში Новое Слово, 1896 წ. N4)”.[8]

ნახსენები რვეულები ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. უნდა ითქვას, რომ პავლე ინგოროყვას წყაროების ზუსტი ჩამონათვალი აქვს აღწერილი ერთი ავტორის გამოკლებით. **R/94**-ე რვეულში ილიას ასევე დამუშავებული აქვს ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომი, თუმცა ჩამონათვალში ის არ გვხვდება. ჩვენთვის უცნობია მილის გამოტოვების ის მიზეზები და/ან მოტივები (გასათვალისწინებელია საბჭოთა რეალობის კონიუნქტურა), რაც შეიძლება პავლე ინგოროყვას ჰქონოდა. ამ შემთხვევაში უბრალოდ უნდა შევნიშნოთ,

8 იქვე, 302-303.

რომ მილი ილიასთვის მნიშვნელოვანი ავტორია და მარქსიზმთან ოპონირებისას მისი უმნიშვნელოვანესი საყრდენი იქნებოდა.

რვეულების გადახედვისას ვნახულობთ, რომ, ფაქტობრივად, ეს არის ნაშრომების ციტატებისგან შედგენილი კონსპექტები. ციტატები დანომრილია და მითითებულია წიგნის გვერდები.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში ასევე დაცულია სხვა რვეული/უბის წიგნაკები. მათი დათვალიერების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟორდანიასთან პოლემიკის მომზადებისთვის ილიას კიდევ უფრო მეტი მასალა დაუმუშავებია, ვიდრე ეს ინგოროყვას მიერ ნანახი რვეულებიდან ჩანს. ამ უბის წიგნაკებში ვნახულობთ სხვა ავტორების გვარებს, რომელთა ნაშრომების გაცნობაც ილიას მარქსიზმის ან ზოგადად სოციალიზმის შესახებ აზრის ჩამოყალიბებაში უნდა დახმარებოდა. ეს ავტორებია: ბლონდელი, ლანგე, ბავერიკი, იოდლი, ტენი. იმავე ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში ილია ეცნობა სპენსერის, ტეილორის, შოპენჰაუერისა და ვებერის ნაშრომებს.

საინტერესოა, რომ აქაც ვპოულობთ ზუსტად იგივე სქემით (ციტატების ამონაწერები) შედგენილ კონსპექტებს (სპენსერი, ტეილორი). მაგრამ არც ეს რვეულები იძლევა ილიას მიერ გაწეული კვლევის სრულ სურათს. ამაში ილიას ბიბლიოთეკაში[9] დაცული ნაშრომების მოძიების შემდეგ ვრწმუნდებით. საინტერესოა, რომ მარქსიზმისა და ზოგადად სოციალიზმის თემასთან დაკავშირებული დაახლოებით 30-მდე წიგნი მოიძებნა. მეტიც, მათი უმრავლესობა ილიას დამუშავებული ჰქონდა. წიგნებს შორის გვხვდება ე. წ. კონვულუტი (დამკვეთის თხოვნით გამომცემლობის მიერ სხვადასხვა წიგნიდან/სტატიისგან შეკრული ერთი გამოცემა). გავბედავ ვამტკიცო, რომ მარქსის შესახებ ამდენი ნაშრომი საბჭოთა საქართველოში მარქსიზმ-ლენინიზმის ბევრ მედგარ მცველს არ ექნებოდა წაკითხული.

9 ნინო ხვედელიძე, „ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა. ისტორიულ ბიბლიოგრაფიული ექსკურსი“. *საქართველოს ბიბლიოთეკა* 3 (48) (2012), 26, 27. დღეს რომ ილიას პირადი ბიბლიოთეკა ერთიანი კოლექციის სახით არსებობს, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთა-თანამშრომელთა რამდენიმე თაობის დამსახურებაა. პირველად 1945 წელს მაშინდელი ბიბლიოთეკის დირექტორის ნიკო ლორთქიფანიძის ბრძანებით დაიწყო ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის ეგზემპლარების მოძიება. ამის შემდეგ 1957 წელს თამარ მაჭავარიანმა ბიბლიოთეკის ფონდიდან გამოაცალკევა ჭავჭავაძისეული ბიბლიოთეკის ნაწილი. 1986 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელმა ლევან ჭრელაშვილმა ხელნაწერთა ინსტიტუტის სეიფში მოიპოვა „წკს-ის ბიბლიოთეკისა“ და „ილია ჭავჭავაძის“ ბიბლიოთეკის კატალოგები, რამაც ახალი ეგზემპლარების მოძიება გააიოლა. 1999 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, ლევან ბერძენიშვილის ბრძანებით გადაწყდა ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის მაქსიმალური სისრულით აღდგენა და იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში ერთიანი კოლექციის სახით დაცვა.

თუ რომელ წიგნზე აქვს ნამუშევარი, ამის მტკიცება შეგვიძლია იმით, რაც მკვლევარებისთვის ცნობილია – ილია ძირითადად წითელი და ლურჯი ფანქრებით მუშაობდა.[10]

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ილიას რვეულებსა და უბის წიგნაკებში ნანახ ავტორებსა და ნაშრომებს ილიას ბიბლიოთეკაშიც ვხედავთ. ესენია: კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, ჯონ სტუარტ მილი, ედუარდ ბერნშტაინი, ვერნერ ზომბარტი, გუსტავ შმოლერი, ლესტერ უორდი, ჟან გაბრიელ ტარდი, ჟორჟ ბლონდელი, ფრიდრიხ ლანგე, ეუგენ ფონ ბონ-ბავერიკი, ფრანც იოდლი, იპოლიტ ტენი (აქ ასევე ვნახეთ ჰერბერტ სპენსერის, ედუარდ ტეილორის, არტურ შოპენჰაუერისა და მაქს ვებერის ნაშრომები).

უნდა შევნიშნოთ, რომ ილიას ბიბლიოთეკაში ბერნშტაინისა და ტარდის სრულიად სხვა ნაშრომებზე ვხედავთ მონიშვნების კვალს. მაგ. ილიას დაკონსპექტებული ჰქონდა ორ განსხვავებულ რუსულ ჟურნალში გამოცემული სტატიები ბერნშტაინის წიგნზე „სოციალიზმის პრობლემა და სოციალ-დემოკრატების ამოცანა."[11] ხოლო ბიბლიოთეკაში ვნახულობთ თავად ბერნშტაინის წიგნს: „ისტორიული მატერიალიზმი."[12] ტარდთან დაკონსპექტებული აქვს „გრძნობების სოციალური ლოგიკა,"[13] ხოლო ბიბლიოთეკაში ვხვდებით ფრანგი ავტორის „სოციალურ ეტიუდებს."[14]

რაც შეეხება ჯონ სტუარტ მილის, ვერნერ ზომბარტის, გუსტავ შმოლერის, ლესტერ უორდის ნაშრომებს, ბიბლიოთეკასა და კონსპექტებში ნანახი წიგნები იდენტურია. მეტიც, ეს იგივე გამოცემებია და, შესაბამისად, დაფიქსირებული გვერდებიც ზუსტად ემთხვევა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წიგნებისა და კონსპექტების გადახედვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ილიას კონსპექტებში ამოკრეფილი ფაქტობრივად ყველა ციტატა ხაზგასმულ-მონიშნულია ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებში. მაგალითად, 14 ამონაწერს ზომბარტის კონსპექტებში ხაზგასმულს ვნახულობთ ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნში („სოციალური პოლიტიკის იდეალები"). ამ კონსპექტების გადათვალიერების

10 იქვე, 28.

11 ედ. ბერნშტაინის წიგნზე: "Die Voraussetzungen des Socialismus und die Aufgaben der Socialdemocratie" (Stuttgart: Verlag von J.H.W. Dietz Nachf, 1899) სტატია ამ წიგნის შესახებ ჟურნალში Вестник Европы, 1899 წ. N9 (12); Русское Богатство-ს 1899 წლის N9 (12)-ში По поводу книги об экономическом материализме (ედ. ბერნშტაინის წიგნის შესახებ).

12 Эдуард Бернштейн, *Исторический материализм* (СПБ.: Издание товарищества "Знание", 1900).

13 ამონაწერები ტარდის წიგნიდან "La logique sociale des sentiments". წერილი ჟურნალში "Русская Мысль" (მარტი,1894).

14 Ипполит Тэн, *Социализм как правительство* (СПБ.: Издание А. Е. Рябченко, 1884).

შემდეგ დავრწმუნდით, რომ მე-19 საუკუნის ბოლო დღეს დაწერილ წერილში[15] ილიას სწორედ შმოლერის ციტატა მოჰყავს და ეს ადგილი კონსპექტშიც აქვს გადმოწერილი. შესაბამისად, ნაპოვნი მასალიდან შესაძლებელი გახდა დაგვედასტურებინა ის ფაქტი, რაზედაც პავლე ინგოროყვა მიუთითებდა. საინტერესოა, რომ ამ ციტატას ვპოულობთ როგორც კონსპექტებში, ისე წიგნის[16] მონიშვნებში.

ციტატებისა და მონიშვნების შედარებისა და დამთხვევების აღმოჩენის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილია არა მხოლოდ წითელი და ლურჯი ფანქრებით მუშაობდა. ტექსტებზე შავი ფანქრების მონიშვნებიც, როგორც ჩანს, მისია.

ჩემთვის საინტერესო იყო მენახა, თუ რომელი მოაზროვნეები შემოჰყავს ილიას არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ქვეყნის სააზროვნო სივრცეში მაშინ, როცა მისი მთავარი მიზანი არის მარქსიზმის კრიტიკა, მაგრამ ეს არაა უბრალო დაპირისპირება/მოგერიება. ჩვენ ვნახავთ, რამდენად აქტუალურია ილიასთვის ოპონენტების მიერ წამოჭრილ საკითხებში გარკვევა, მისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების სხვა კუთხით დანახვა-გააზრება.

საინტერესოა, რომ ილიას ბიბლიოთეკაში თავად მარქსის კაპიტალის პირველი ტომის სამი ეგზემპლარი გვხვდება.[17] აქ ჩვენ ვერ ვხედავთ ილიას ნამუშევრის კვალს. მხოლოდ ამ მოცემულობის საფუძველზე ჩვენთვის ძნელია ვამტკიცოთ, რამდენად იცნობდა ის უშუალოდ მარქსის ნაშრომს. თუმცა ამის გარდა, ბიბლიოთეკაში ვნახეთ ცნობილი სოციალ-დემოკრატების, მარქსიზმის კრიტიკოსების, ცნობილი ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ეკონომისტების ნაშრომები, სადაც სრულიად მკაფიოდ ვხედავთ ილიას მუშაობის კვალს.

ბიბლიოთეკაში სოციალისტებიდან განსაკუთრებით საინტერესო ფიგურებს და, შესაბამისად, მათ ნაშრომებს ვპოულობთ: ფერდინანდ ლასალი – თხზულებები ტ.1;[18] ედუარდ ბერნშტაინი – ისტორიული მატერიალიზმი;[19] ავგუსტ ბებელი – მკვლელობის მცდელობები და სოციალ-დემოკრატია, გამოც. 2;[20] კარლ კაუცკი – კაპიტალისტური

15 ჭავჭავაძე, *მეცხრამეტე საუკუნე …*, 37.

16 Густав фон Шмоллер, *Наука о народном хозяйстве, ее предмет и метод.* Пер. с нем. Е. Котляревская (М.: М. и С. Сабашниковы, 1897).

17 Карл Маркс, *Капитал.* Т.1 (СПБ.: Издание Н.С. Аскарханов,1899).

18 Фердинанд Лассаль, *Сочинения.* Т.1 (СПБ.: Издание Н.П. Полякова 1970).

19 Эдуард Бернштейн, *Исторический материализм* (СПБ.: Издание товарищества “Знание”, 1900).

20 Август Бебель, *Покушение и социал-демократия.* Изд. 2 (Одесса: Издание М.К. Козмана, 1905).

მეურნეობის საზღვრები.[21] ამ ოთხიდან ილიას ნამუშევრის კვალი ლასალის, კაუცკისა და ბერნშტაინის წიგნებში გვხვდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ილია მიუთითებს, მოცემული სტატიის პირველი ციტატა ეკუთვნის გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელს, ფერდინანდ ლასალს. ილიას კონსპექტებში ლასალის ნაშრომები არაა და, სავარაუდოდ, სწორედ იმიტომ, რომ მისი შრომები გაცილებით ადრეა წაკითხული. ბიბლიოთეკაში მოძიებული ლასალის წიგნის გამოცემაც 1870 წლით[22] არის დათარიღებული. ლასალის ტექსტების შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ილია თავის „ცხოვრება და კანონში" არ შემოიფარგლება გერმანელი მოაზროვნის ერთი მოსაზრების ციტირებით. სტატიაში ილია ბევრგან ეყრდნობა მას.

უნდა ვთქვათ, რომ ოთხივე ავტორს სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიის ჩამოყალიბებასა და პოლიტიკის განსაზღვრაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის.[23] მაგალითისთვის, თუ გადავხედავთ ტობიას გომბერტის გამოცემულ „სოციალური დემოკრატიის საფუძვლებს",[24] ვნახავთ, რომ პირველი ოთხი გვარი, რომელიც მარქსის შემდეგ სოციალ-დემოკრატების როგორც ისტორიული, ისე თეორიული საფუძვლების განმარტებისას გვხვდება, ილიას ბიბლიოთეკაში ნაპოვნი გერმანელ სოციალისტ ავტორთა გვარებია. ისინი მარქსიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსები და ამასთან, მარქსიზმის პირველი კრიტიკოსებიც არიან.

ილიას ბიბლიოთეკაში ნანახი ლიტერატურა, რომელსაც მწერალი სოციალიზმზე შეხედულების ჩამოყალიბებისთვის ეყრდნობა, გარდა უშუალოდ გერმანელი სოციალ-დემოკრატებისა, შეგვიძლია ძირითადად ასე დავაჯგუფოთ:

21 Карл Каутский, *Границы капиталистического хозяйства* (Киев-Харьков: Издание Ф.А. Иогансона, 1900).

22 Фердинанд Лассаль, *Сочинения.* Т.1 (СПБ.: Издание Н.П. Полякова 1970).

23 ამ გარემოებაზე არაერთი ავტორი საუბრობს, მაგალითად, ჰელგა გრებინგი; ამ მხრივ ასევე საინტერესოა ავტორთა ჯგუფის ნაშრომი: Helga Grebing, *Geschichte der deutschen Arbeitbewegung.* Berlin: Vorwärts buch, 2007; Walter Euchner, Helga Grebing F.-J. Stegmann, Peter Langhorst, Traugott Jahnichen, Norbert Friedrich Geschichte der sozialen Ideen in Deutschland (Wiesbaden: Verlag für Sozialwissenschaften, 2005).

24 ტობიას გომბერტი და სხვები. *სოციალური დემოკრატიის კურსი* 1. *სოციალური დემოკრატიის საფუძვლები.* თბილისი: გამომცემლობა „ფრიდრიხ ებერტის ფონდი."

ეკონომიკის გერმანული ისტორიული სკოლა:[25]

ვერნერ ზომბარტი – სოციალური პოლიტიკის იდეალები;[26] გერმანია ეკონომიკური გადატრიალების მიჯნაზე;[27]

გუსტავ შმოლერი – სახალხო მეურნეობის მეცნიერება, მისი საგანი და მეთოდი;[28]

გერმანელი ფილოსოფოსი (ნეოკანტიანელი), ეკონომისტი, სოციალისტი:

ფრიდრიხ ლანგე – მატერიალიზმის ისტორია და მისი მნიშვნელობის კრიტიკა ჩვენს დროში;[29] შრომითი საკითხის მნიშვნელობა აწმყოსა და მომავალში;[30]

ბრიტანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე. ლიბერალიზმის პოლიტიკური ფილოსოფიის გამორჩეული წარმომადგენელი:

ჯონ სტუარტ მილი – პოლიტიკური ეკონომიკის საფუძველი; ტომი 1,2;[31] მსჯელობები და გამოკვლევები – პოლიტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული; პირველი ნაწილი;[32]

ავსტრიელი ეკონომისტები:

ეუგენ ფონ ბომ-ბავერიკი (ვენის ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი) – კარლ მარქსის თეორია და მისი კრიტიკა;[33]

ჰანს გროსი (სამართლის დოქტორი ვენის უნივერსიტეტში) – კარლ მარქსის ეკონომიკური სისტემა;[34]

---

25 აღსანიშნავია, რომ კარლ ბიუხერის ნაშრომი ილიას დაკონსპექტებული აქვს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ავტორის წიგნს ბიბლიოთეკაში ვერ ვნახულობთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი მწერალი სოციალისტებთან პოლემიკის პერიოდში ეკონომიკის ისტორიული სკოლის სამი ავტორის ნაშრომს ეცნობა.

26 Вернер Зомбарт, *Идеалы социальной политики* (СПБ.: Издание Знание, 1900).

27 Вернер Зомбарт, *Германия накануне экономического переворота* (СПБ.: Издание О.Н. Поповой, 1900).

28 Шмоллер.

29 Фридрих Альберт Ланге, *История материализма и критика его значения в настоящее время.* Изд. 2 (СПБ.: Издание Л.Ф. Пантельеева, 1899).

30 Фридрих Альберт Ланге, *Рабочий вопрос, его значение в настоящем и будущем* (СПБ.: Издание Ф. Павленкова, 1895).

31 Джон Стюарт Милль, *Разсуждения и изследования политическия, философския и историческия.* В трех частях. Ч.1 (СПБ.: Типография А.С. Голицына, 1864).

32 Джон Стюарт Милль, *Основания политической экономии.* Первое полное издание. Т.1.2 (СПБ.: Издание А.Н. Пыпина, 1865).

33 Эйген Бомъ-Баверкъ, *Теория Карла Маркса и ея критика* (СПБ.: Типография П. П. Сойкина, 1897).

34 Густав Гросс, *Экономическая система Карла Маркса.* Изд. 2 (СПБ.: Издание Ф. Павленков, 1896).

ჩეხი ფილოსოფოსი, სოციოლოგი. ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი

ტომაშ მასარიკი – მარქსიზმის ფილოსოფიური და ეკონომიკური საფუძვლები;[35]

რუსი მეცნიერები მარქსიზმზე:

ლეონიდ სლომინსკი (რუსი პუბლიცისტი) – მარქსიზმის ეკონომიკური სწავლება;[36]

ნიკოლაი ზიბერი – დევიდ რიკარდო და კარლ მარქსი მათ სოციალურ-ეკონომიკურ გამოკვლევებში;[37]

აღნიშვნის ღირსია ილიას ბიბლიოთეკაში ნანახი კონვოლუტი:[38]

კარლ კაუცკი – კაპიტალისტური მეურნეობის საზღვრები;[39]

ემილ ვანდერველდე (ბელგიელი მემარჯვენე სოციალისტი. როგორც მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელი, კაუცკისთან ერთად 1920 წელს იმყოფებოდა თბილისში, გახმაურებული წიგნის – „გაქცევა ქალაქში და გზა უკან სოფლისკენ“ – ავტორი) – ქალაქი და სოფელი კაპიტალისტურ საზოგადოებაში;[40]

ჟან გაბრიელ ტარდი – პოლიტიკური ეკონომიკის რეფორმა;[41]

ჟორჟ ბლონდელ (ფრანგი ეკონომისტი, ისტორიკოსი; მუშაობდა გერმანიისა და ავსტრიის განვითარების პრობლემებზე) – გერმანიის იმპერიის ეკონომიკური აღმავლობა;[42]

ფრიდრიხ იოდლი (პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი) – ეთიკა და პოლიტიკური ეკონომიკა;[43]

მაქს მიულერი – მატერიალიზმის შესახებ;[44]

35 Томаш Гарриг Масарик, *Философския и социологическия основания Марксизма* (М.: Изд. К.Т. Солдатенкова, 1900).

36 Леонид Слонимский, *Экономическое учение Карла Маркса* (СПБ.: Типография М.М. Стасюлевича, 1898).

37 Николай Зибер, *Давид Рикардо и Карл Маркс в их общественно-экономических исследованиях. Опыт критико-экономического исследования.* Изд. 3 (СПБ.: Издание Товарищества Сытина, 1897).

38 კონვოლუტი: ერთ წიგნად შეკრული კრებული, რომელიც აერთიანებს ადრე დამოუკიდებლად გამოცემულ სტატიებს/წიგნებს.

39 Карл Каутский, *Границы капиталистического хозяйства.* Киев-Харьков, Издание Ф.А. Иогансона, 1900).

40 Эмиль Вандерелде, *Город и Деревня в капиталистическом обшестве* (Киев-Харьков: Издание Ф.А. Иогансона, 1900).

41 Габриель Тард, *Реформа политической экономики* (СПБ.: Типография Правительствующего Сената, 1899).

42 Жоржъ Блондель, *Экономический подъем германской империи.* Пер. с фр. Г. Абрамова (СПБ.: Типо-лит. А. Лейферта, 1899).

43 Фридрих Йодль, *Этика и политическая Экономика* (СПБ.: Типо-лит. А. Лейферта, 1898).

44 Мюллеръ. *О материалиме Маркса* (Типография Вильде, 1899).

ადოლფ გელდი – ფაბრიკა და ხელობა;[45]

მიხეილ ენგელგარდტი (რუსი პუბლიცისტი, სოციოლოგი, ლიტერატურული კრიტიკოსი) – წერილები მიწათმოქმედების შესახებ;[46]

ფრანგი სოციოლოგები:

გუსტავ ლე ბონ – სოციალიზმის ფსიქოლოგია;[47]

იპოლიტ ტენი – სოციალიზმი, როგორც ხელისუფლება;[48] თანამედროვე საფრანგეთის წარმოშობა;[49]

ჟან გაბრიელ ტარდი – სოციალური ეტუდები;[50]

ალექსის დე ტოკვილი – დემოკრატია ამერიკაში; 3,4 ტომი,[51] ძველი წესრიგი და რევოლუცია;[52]

სელესტინ ბუგლე – სოციალური მეცნიერება თანამედროვე გერმანიაში.[53]

კონსპექტებისა და ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების გაცნობის შემდეგ ჩვენ, მეტ-ნაკლები სიზუსტით, შეგვეძლო განგვესაზღვრა, წიგნების რა კორპუსს ეყრდნობოდა ილია ნოე ჟორდანიასთან კამათში. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, კვლევის სრულიად ახალი შესაძლებლობა მოგვცა. უნდა ითქვას, რომ ხანშიშესულმა მწერალმა საკმაოდ დიდი შრომა გასწია. სწორედ ამ პერსპექტივიდან ცხადად გამოჩნდა, რომ სოციალიზმთან, კერძოდ, მარქსიზმთან კამათი ილიასთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობისა იყო, ვიდრე კონკრეტული ოპონენტის კრიტიკა. შესაბამისად, ნანახ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, დაგვეწყო კვლევა ილიასა და სოციალიზმის მიმართებაზე. მაგრამ ბიბლიოთეკაში მოძიებული შრომები ასევე წარმოადგენს ილიას მემკვიდრეობის კვლევის ახალ პერსპექტივას. წიგნების კორპუსზე დაყრდნობით შესაძლებელია ილიას ლიბერალზმის, ასევე ნაციონალიზმის იდეების ისტორიის რეკონსტრუქ-

45 Адольфъ Гелдъ, *Фабрика и Ремесло* (М.: Типография "Разсвет", 1895).

46 Михаил Энгельгардт, *Письма о земледелии* (СПБ.: Типография "Общественая Польза", 1899).

47 Гюстав Ле-бон, *Психология социализма* (СПБ.: Типография Пайкина, 1899).

48 Ипполит Тэн, *Социализм как правительство* (СПБ.: Издание А. Е. Рябченко, 1884

49 Ипполит Тэн, *Происхождение современной франции.* Т. 4, 5 (СПБ.: Изд. журнала "Вестник иностранной литературы" 1907).

50 Габриель Тард, *Социальные этюды* (СПБ.: Издание Ф. Павленков, 1902).

51 Алексис де Токвилль, *Демократия в Америке.* Т. 3, 4 (Киев: Типография Антона Гаммершмида, 1860).

52 Алексис де Токвилль, *Старый порядок и революция* (СПБ.: Типография Николая Тивлена, 1861).

53 Селестен Бугле, *Социальная наука в современной Германии.* Киев-Харьков, Издание Ф.А. Иогансона, 1899).

ცია და ზოგადად ილიას ფილოსოფიური, სოციალური, პილიტიკური და ეკონომიკური შეხედულებების წარმომავლობის რეკონსტრუქცია.

ილიაუნის გზამკვლევის ფარგლებში ჩვენ შევეცადეთ, გაგვეკეთებინა შესავალი „ილიასა და სოციალიზმის“ კვლევაში. ილიას იდეათა გენეზისის მოცემული კვლევისას, ჩვენ შემოვიფარგლებით ორი მიმართულებით. პირველი იყო სოციალ-დემოკრატების გამორჩეული ფიგურების – ლასალის, ბერნშტაინის, კაუცკისა და ბებელის ნაშრომების ანალიზი. 1) ამ ფიგურებმა შექმნეს ევროპული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ტრადიცია, რასაც, საბოლოო ჯამში, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებლებიც ეყრდნობოდნენ; 2) პირველი სამი ავტორის წიგნებზე ცხადად ჩანს ილიას მონიშვნების კვალი და ამ შრომებში განხილული თემები ჟორდანიასთან პოლემიკის პრობლემატიკის იდენტურია; 3) ბებელის ბროშურას „თავდასხმა მკვლელობის მიზნით და სოციალ-დემოკრატია“ ილია ეცნობა 1905-1907 წლებში, ფაქტობრივად მისი მკვლელობის წინ.

კვლევის მეორე მიმართულება შეეხება ფრანგი სოციოლოგების იპოლიტ ტენისა და გუსტავ ლე ბონის შრომებს: „სოციალიზმი, როგორც ხელისუფლება“ და „სოციალიზმის ფსიქოლოგია“. 1) ამ წიგნებშიც ვნახულობთ ილიას მონიშვნების კვალს; 2) ამ ავტორებთან შეგვიძლია, ამოვიკითხოთ ილიას ანტისოციალისტური იდეების გენეზისი.

ილიას ბიბლიოთეკაში ჩვენ მიერ დასახელებული წიგნებისა და ავტორების ზედაპირული გადახედვიდანაც, როგორც უკვე ითქვა, იხსნება კვლევის სრულიად ახალ პერსპექტივა. ილიასა და სოციალისტების მიმართება მხოლოდ ერთი მიმართულებაა და ამ მხრივაც გასაკეთებელი გაცილებით მეტია. მაგალითად, ჩვენ ნაშრომში ამჯერად არ შევეხეთ ეკონომიკის გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლების[54] ვერნერ ზომბარტისა და გუსტავ შმოლერის ნაშრომებს. ასევე გერმანელი ფილოსოფოსის (ნეოკანტიანელი), ეკონომისტი, სოციალისტის ფრიდრიხ ლანგეს ნაშრომს – შრომითი საკითხის მნიშვნელობა აწმყოსა და მომავალში.[55] ამ მიმართულებით კვლევა საინტერესო საკითხებს მოიცავს.

ცალკე კვლევას იმსახურებს ილიასა და ჯონ სტუარტ მილის მიმართება. ბიბლიოთეკაში ილიას მონიშვნებით მილის ორი წიგ-

54 აღსანიშნავია, რომ კარლ ბიუხერის ნაშრომი ილიას დაკონსპექტებული აქვს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ავტორის წიგნს ბიბლიოთეკაში ვერ ვნახულობთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი მწერალი სოციალისტებთან პოლემიკის პერიოდში ეკონომიკის ისტორიული სკოლის სამი ავტორის ნაშრომს ეცნობა.

55 Фридрих Альберт Ланге, *Рабочий вопрос, его значение в настоящем и будущем* (СПБ.: Издание Ф. Павленкова, 1895).

ნი ინახება. „პოლიტიკური ეკონომიკის საფუძველი", ტომი 1,2[56] და „მსჯელობები და გამოკვლევები – პოლიტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული", პირველი ნაწილი.[57] ამ ნაშრომების განხილვისას შესაძლებელია ილიას ლიბერალური იდეების გენეზისის კვლევა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ალექსი დე ტოკვილის „დემოკრატია ამერიკაში", 3,4 ტომი,[58] ძველი წესრიგი და რევოლუცია,[59] ასევე ჰერბერტ სპენსერის „სოციოლოგიის საფუძვლები"[60] და „მეცნიერული, პოლიტიკური და ფილოსოფიური კვლევები."[61]

ლიტერატურის მცოდნეებს დაინტერესებთ ბიბლიოთეკაში ჰაინეს[62] და რენანის[63] ნაშრომები, რომლებზეც ილიას არაერთი მონიშვნის კვალს ვხედავთ. ეს ავტორები ილიას ნაციონალიზმის პროექტის მკვლევართათვისაც საინტერესო მასალაა. წერა-კითხვის გამავცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში ვნახულობთ რენანის ნაშრომს „რა არის ნაცია?"[64] ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანი შრომა ილიას წაკითხული ჰქონდა. ამ მიმართულებით დამატებით დავასახელებდით ნაშრომებს: ლუდვიგ რუდიგერის „ნაციონალობა"[65] და ვლადიმერ სოლოვიოვის „ნაციონალური საკითხი რუსეთში."[66]

ილიას ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების ნაწილი განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ახალი დროის ისტორიის მკვლევართათვის. აქ ვნახულობთ, ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ წიგნებს: იპოლიტ ტენის „თანამედროვე საფრანგეთის წარმოშობა";[67] ალექსი დე ტოკვილის

56 Джон Стюарт Милль, *Разсуждения и изследования политическия, философския и историческия.* В трех частях. Ч. 1 (СПБ.: Типография А.С. Голицына, 1864).

57 Джон Стюарт Милль, *Основания политической экономии.* Первое полное издание. Т.1.2 (СПБ.: Издание А.Н. Пыпина, 1865).

58 Алексис де Токвилль, *Демократия в Америке.* Т. 3, 4 (Киев: Типография Антона Гаммершмида, 1860).

59 Токвилль, Алексис де. *Старый порядок и революция* (СПБ.: Типография Николая Тивлена, 1861).

60 Герберт Спенсер, *Основания социологии.* Т. 1 (СПБ.: Изд. И.И. Билибина, 1876).

61 Герберт Спенсер, *Научные-политические и философские опыты.* Т.1 (СПБ.: Типография Н. Тиблена, 1866).

62 Генрих, Гейне. *Сочинения.* Т. 1, 5-9 (СПБ.: Типография О.И. Бакста, 1864-1866).

63 Эрнест Ренан, *Европейские писатели и мыслители* (СПБ.: Издание В. Губинскаго, 1886).

64 Эрнест Ренан, *Что такое нация?* (Тфл.: Издание Редакции Кавказа, 1882).

65 *Философия и Наука* (СПБ.: тип. М.О. Вольфа, 1865).

66 Владимир Соловьев, *Национальный вопрос в России* (СПБ.: Типография М. М. Стасюлевича, 1891).

67 Ипполит Тэн, *Происхождение современной франции.* Т. 4, 5 (СПБ.: Изд. журнала «Вестник иностранной литературы" 1907).

„ძველი წესრიგი და რევოლუცია“;[68] გეორგ ჰერვინიუსის „მე-19 საუკუნის ისტორია ვენის კონგრესის დროიდან“;[69] გეორგ ვებერის „საყოველთაო ისტორია“;[70] ედუარდ ფრიმანის „შედარებითი პოლიტიკა და ისტორიის ერთიანობა“;[71] გეორგ ფოიგტის „კლასიკური ანტიკურობის აღორძინება“.[72]

დაბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით ბიბლიოთეკაში დაცულ ფილოსოფოსთა შრომებს. ილიას ლიბერალური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორი ჯონ სტუარტ მილი იყო. როგორც უკვე ვთქვით, აქ ვნახულობთ ინგლისელი ავტორის შრომას „მსჯელობები და გამოკვლევები – პოლიტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული; პირველი ნაწილი“.[73] ასევე მონიშვნებს ვხედავთ ნეოკანტიანელი ფრიდრიხ ლანგეს ცნობილ წიგნზე – „მატერიალიზმის ისტორია და მისი მნიშვნელობის კრიტიკა ჩვენს დროში“.[74] ილიას დამუშავებული ჰქონდა ტომაშ მასარიკის „მარქსიზმის ფილოსოფიური და ეკონომიკური საფუძვლები“.[75]

ქართველი მწერლის ბიბლიოთეკაში ვნახულობთ ასევე ჰეგელის ესთეტიკას,[76] კვლევას არტურ შოპენჰაუერზე და თავად გერმანელი ფილოსოფოსის შრომას „ნების თავისუფლება და მორალის საფუძველი“,[77] ცნობილი გერმანელი ფილოსოფიის ისტორიკოსების კუნო ფიშერის[78] და ბრუნო ბაუერის[79] კვლევებს და ლიტვინოვის წიგნს

68 Алексис де Токвилль, *Старый порядок и революция* (СПБ.: Типография Николая Тивлена, 1861).

69 Георг Готфрид Гервинус, *История 19-го века от времени венского конгресса.* Т.4, Ч.1; Т5 (СПБ.: Издание и типография О.И. Бакста, 1876, 1868).

70 Георг Вебер, *Всеобщая история.* Т. 1.6 (М.: Издание К.Т. Солдатенкова, 1885, 1887).

71 Эдуард Фриман, *Сравнительная политика и единства истории* (СПБ.: Издание Л. Ф. Пантелеева, 1880).

72 Георг Фойгт, *Возрождение классической древности, или первый век гуманизма.* Т. 1, 2 (М.: Типография М.П. Щепкина, 1884, 1885).

73 Джон Стюарт Милль, *Основания политической экономии.* Первое полное издание. Т.1.2 (СПБ.: Издание А. Н. Пыпина, 1865).

74 Фридрих Альберт Ланге, *История материализма и критика его значения в настоящее время.* Изд. 2 (СПБ.: Издание Л. Ф. Пантельеева, 1899).

75 Томаш Гарриг Масарик, *Философския и социологическия основания Марксизма* (М.: Изд. К.Т. Солдатенкова, 1900).

76 Георг Вильгельм Фридрих Гегель, *Курс эстетики или наука изяшного.* Ч. 1 (СПБ.: В. Поляков, 1847).

77 Артур Шопенгауэр, *Свобода воли и основы морали.* Изд. 2 (СПБ.: Издание А.С. Суворина,1887).

78 Бруно Бауэр, *История философии* (СПБ.: изд. Бакста, 1866).

79 Куно Фишер, *Г. Э. Лессинг, как преобразователь немецкой литературы* (М.: Типография П. П. Брискорн, 1882).

ფრენსის ბეკონზე.[80]

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ილიას იმ დიდ ღვაწლთან ერთად, რაც ჩვენი კულტურის წინაშე აქვს, შეგვიძლია მივამატოთ კიდევ ერთი. მისი შექმნილი ბიბლიოთეკა. ეს მემკვიდრეობა გვაძლევს არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის იდეების ისტორიის, არამედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ინტელექტუალური გარემოს რეკონსტრუქციის საშუალებას. ვფიქრობ, ილიას ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები ბევრი საინტერესო კვლევის საფუძველი გახდება.

დამოწმებანი

გომბერტი, ტობიას და სხვები. *სოციალური დემოკრატიის კურსი* 1. *სოციალური დემოკრატიის საფუძვლები.* თბილისი: გამომცემლობა „ფრიდრიხ ებერტის ფონდი".

ჭავჭავაძე, ილია. „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან", 241-299, *თხზულებათა ათტომეული,* ტომი 6. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1956.

ჭავჭავაძე, ილია. „მეცხრამეტე საუკუნე", 7-9, *თხზულებათა ათტომეული,* ტომი 6. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1956.

ხვედელიძე, ნინო. „ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა. ისტორიულ ბიბლიოგრაფიული ექსკურსი". *საქართველოს ბიბლიოთეკა* 3 (48) (2012): 26-31.

ჯონსი, სტივენ ფ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-19170.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.

Bernstein, Eduard. Die Voraussetzungen des Socialismus und die Aufgaben der Socialdemocratie". Stuttgart: Verlag von J.H.W. Dietz Nachf, 1899.

Euchner, Walter, Helga Grebing F.-J. Stegmann, Peter Langhorst, Traugott Jahnichen, Norbert Friedrich. Geschichte der sozialen Ideen in Deutschland. Wiesbaden: Verlag fur Sozialwissenschaften, 2005.

Grebing, Helga. Geschichte der deutschen Arbeitbewegung. Berlin: Vorwärts buch 2007.

Tarde, Gabriel. "La logique sociale des sentiments." *Revue philosophique,* Tome XXXVI (Décembre, 1893), 561-594.

80 Елизавета Литвинова, *Ф. Бэконъ. Его жизнь, научные труды и общ. Деятельность* (СПБ.: Тип. Т-ва "Общественая польза", 1891).

Бауэр, Бруно. *История философии*. СПБ.: изд. Бакста, 1866.

Бебель, Август. *Покушение и социал-демократия*. Изд. 2. Одесса: Издание М.К. Козмана, 1905.

Бернштейн, Эдуард. *Исторический материализм.* СПБ.: Издание товарищества "Знание", 1900.

Блондель, Жоржъ. *Экономический подъем германской империи.* Пер. с фр. Г. Абрамова. СПБ.: типо-лит. А. Лейферта, 1899.

Бомъ-Баверкъ, Эйген. *Теория Карла Маркса и ея критика*. СПБ.: Типография П. П. Сойкина, 1897.

Бугле, Селестен. *Социальная наука в современной Германии*. Киев-Харьков, Издание Ф.А. Иогансона, 1899.

Вандерелде, Эмиль. *Город и Деревня в капиталистическом обшестве.* Киев-Харьков: Издание Ф.А. Иогансона 1900.

Вебер, Георг. *Всеобщая история.* Т.1.6. М.: Издание К.Т. Солдатенкова, 1885, 1887.

Гегель, Георг Вильгельм Фридрих. *Курс эстетики или наука изяшного.* Ч.1. СПБ.: В. Поляков, 1847.

Гейне, Генрих. *Сочинения*. Т.1 5-9. СПБ.: Типография О.И. Бакста, 1864-1866.

Гелдъ, Адольфъ. *Фабрика и Ремесло.* М.: Типография "Разсвет", 1895.

Гервинус, Георг Готфрид. *История 19-го века от времени венского конгреса*. Т.4, Ч.1; Т5. СПБ.: Издание и типография О.И. Бакста, 1876, 1868.

Гросс, Густав. *Экономическая система Карла Маркса.* Изд 2. СПБ.: Ф. Павленков, 1896.

Зибер, Николай. *Давид Рикардо и Карл Маркс в их общественно-экономических исследованиях. Опыт критико-экономического исследования*. Изд. 3. СПБ.: Издание Товарищества Сытина, 1897.

Зомбарт, Вернер. *Идеалы социальной политики*. СПБ.: Знание, 1900.

Зомбарт, Вернер. *Германия накануне экономического переворота*. СПБ.: Издание О.Н. Поповой, 1900.

Йодль, Фридрих. *Этика и политическая Экономика.* СПБ. Типо-лит. А. Лейферта, 1898.

Каутский, Карл. *Границы капиталистического хозяйства*. Киев-Харьков, Издание Ф.А. Иогансона,1900.

Ланге, Фридрих Альберт. *Рабочий вопрос, его значение в настоящем и будущем*. СПБ.: Изд. Ф. Павленкова, 1895.

Ланге, Фридрих Альберт. *История материализма и критика его значения в настоящее время*. Изд. 2. СПБ.: Издание Л.Ф. Пантельеева, 1899.

Лассаль, Фердинанд. *Сочинения*. Т.1. СПБ.: Издание Н.П. Полякова 1970.

Ле-бон, Гюстав. *Психология социализма*. СПБ.: Типография Пайкина, 1899.

Литвинова, Елизавета. Ф. *Бэконъ. Его жизнь, научные труды и общ. Деятельность*. СПБ.: Тип. Т-ва "Общественая польза", 1891.

Маркс, Карл. *Капитал*. Т.1. СПБ.: Издание Н.С. Аскарханов, 1899.

Масарик, Томаш Гарриг. *Философския и социологическия основания Марксизма*. М.: Изд. К. Т. Солдатенкова, 1900.

Милль, Джон Стюарт. *Основания политической экономии*. Первое полное издание. Т.1.2; СПБ.: Издание А.Н. Пыпина, 1865.

Милль, Джон Стюарт. *Разсуждения и изследования политическия, философския и историческия*. В трех частях. Ч.1. СПБ.: Типография А.С. Голицына, 1864.

Мюллеръ. *О материалиме Маркса*. Типография Вильде, 1899.

Ренан, Эрнест. *Европейские писатели и мыслители*. СПБ.: Издание В. Губинскаго, 1886.

Ренан, Эрнест. *Что такое нация?* Тфл. Издание Редакции Кавказа, 1882.

Слонимский, Леонид. *Экономическое учение Карла Маркса*. СПБ.: Типография М. М. Стасюлевича, 1898.

Соловьев, Владимир. *Национальный вопрос в России*. СПБ.: Типография М. М.Стасюлевича, 1891.

Спенсер, Герберт. *Основания социологии*. Т. 1. СПБ.: Изд. И. И. Билибина, 1876.

Спенсер, Герберт. *Научные-политические и философские опыты*. Т.1. Т.1. СПБ.: Типография Н. Тиблена, 1866.

Тард, Габриель. *Социальные этюды*. СПБ.: Издание Ф. Павленков, 1902.

Тард, Габриель. *Реформа политической экономики*. СПБ.: Типография Правительствующего Сената, 1899.

Тэн, Ипполит. *Происхождение современной франции*. Т. 4, 5. СПБ.: Изд. журнала "Вестник иностранной литературы" 1907.

Тэн, Ипполит. *Социализм как правительство*. СПБ.: Издание А. Е. Рябченко, 1884.

Токвилль, Алексис де. *Старый порядок и революция*. СПБ.: Типография Николая Тивлена, 1861.

Токвилль, Алексис де. *Демократия в Америке*. Т. 3, 4 Киев: Типография Антона Гаммершмида, 1860.

Философия и Наука. СПБ.: тип. М.О. Вольфа, 1865.

Фишер, Куно. *Г. Э. Лессинг, как преобразователь немецкой литературы*. М.: Типография П.П. Брискорн, 1882.

Фойгт, Георг. *Возрождение классической древности, или первый век гуманизма*. Т. 1, 2. М.: Типография М.П. Щепкина, 1884, 1885.

Фриман, Эдуард. *Сравнительная политика и единства истории*. СПБ.: Издание Л. Ф. Пантелеева, 1880.

Шопенгауэр, Артур. *Свобода воли и основы морали*. Изд. 2. СПБ.: Издание А.С. Суворина,1887.

Шмоллер, Густав фон. *Наука о народном хозяйстве, ее предмет и метод*. Пер. с нем. Е. Котляревская Москва: М. и С. Сабашниковы, 1897.

Энгельгардт, Михаил. *Писма о земледелии*. СПБ.: Типография "Общественая Польза", 1899.